


გაითვალისწინეთ, აღნიშნული ტესტი არის მხოლოდ ფინალური ტურის ნიმუში. ფინალურ ტურში დაგხვდებათ 12 საკითხი. გისურვებთ გამარჯვებას!

მე-7 კლასი

1. (3 ქულა) ნიას აქვს 20 კანფეტი სხვადასხვა შეფუთვით: 3 ცალი ნითელი, 3 ცალი ყვითელი, 5 ცალი ლურჯი და 9 ცალი თეთრი. რა არის კანფეტების ყველაზე მცირე რაოდენობა, რომელიც უნდა აიღოს ნიამ შემთხვევით, რათა მათ შორის აუცილებლად იყოს 4 განსხვავებული კანფეტი?
 ა. 4 ცალი ბ. 7 ცალი გ. 12 ცალი დ. 18 ცალი



2. (6 ქულა) ნახაზის მიხედვით რომელ თვეს შეიძლება ყოფილიყო ნალექის რაოდენობა 21 მმ?
 ა. თებერვალში ბ. აპრილში გ. ოქტომბერში დ. დეკემბერში
3. (9 ქულა) ჩამოთვლილთაგან რომელ რიცხვთანაა ყველაზე ახლოს ამ თვეების საშუალო ნალექიანობა?
 ა. 25 ბ. 45 გ. 55 დ. 65
4. (8 ქულა) მჭედელს ერთი ჯაჭვის შესაქმნელად ხუთი ცალი მცირე ზომის ჯაჭვი მიუტანეს, რომლებიც შედგებოდა 3, 4, 5, 6 და 7 რგოლისგან. ვიცით, რომ ყველა რგოლი ერთნაირია და თითოეულის გახსნა შეიძლება. რა არის რგოლების ყველაზე მცირე რაოდენობა, რომელიც უნდა გახსნას მჭედელმა, რომ შეძლოს ერთი, რაც შეიძლება გრძელი, ჯაჭვის შექმნა, რომელშიც ყველა რგოლი იქნება?
 ა. 3 ბ. 5 გ. 6 დ. ჩამოთვლილთაგან არც ერთი
5. (6 ქულა) რომელი მეტია?
 A. X-ის Y%
 B. Y-ის X%
 ა. A ბ. B გ. თანაბარია დ. ვერ დავადგენთ
6. (8 ქულა) რომელი მეტია?
 A. ავტომობილის სიჩქარე, რომელმაც A და B ქალაქებს შორის მანძილი 3 საათში დაფარა.
 B. ავტომობილის სიჩქარე, რომელმაც C და D ქალაქებს შორის მანძილი 4 საათში დაფარა.
 ა. A ბ. B გ. თანაბარია დ. ვერ დავადგენთ